ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 13-45

“16” თებერვალი 2018 წ.

ქ. თბილისი

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შეტანილი იქნას ცვლილება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 06/01/2015, სარეგისტრაციო კოდი: 010260030.35.101.016099) და დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი - რუკა (ფუნქციური ზონები) ჩამოყალიბდეს თანდართული სახით (თან ერთვის ცვლილების საინფორმაციო მასალა).

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

ფუნქციური ზონები




1

არსებული ფუნქციური ზონის პონტური

პორექტირებული ფუნქციური ზონის პონტური

სამრეწვლო ზონა 1 (ს-1) (არსებული ზონა **10979** კვ.მ.)

საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) (პორექტირებული ზონა **10979** კვ.მ.)

1. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, ქერჩის ქუჩა N4-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.11.05.029.270, 01.11.05.029.271, 01.11.05.029.222) და მიმდებარედ (10979 კვ.მ.) სამრეწველო ზონა 1-ის ცვლილება საცხოვრებელი ზონა 6-ით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილება: **დადებითი.**

განმცხადებელი.: გ.სადუნიშვილი.
AR1563107.